ახალი ხარაგაული

290 (17) 5 ივნისი, 2015 წ

სულ მალე ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ცხელი ხაზის სერვისი ამოქმედდება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 03 იანვარის N6 განკარგულებით დამტკიცებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს გაზეთ „ახალ ხარაგაულს“ სახელწოდება შეეცვალა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“ ეწოდა. ა(ა)იპ-ის წესდებაში ცვლილება შევიდა და მას ახალი ფუნქცია-მოვალეობები დაემატა. კერძოდ, ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“ მიზანია, უფრო ეფექტური გახადოს ადგილობრივი თვითმმართველობის გადაწყვეტილებათა მიღებაში მოქალაქეთა ჩართულობა. რეგულარულად უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მოსახლეობასთან შეხვედრა, ესაუბროს მათ ადგილობრივი თვითთმმართველობის მიერ გაწეული სამუშაოების შესახებ, მოახდინოს მათი ინფორმირება დასახულ სამომავლო გეგმებზე და მოსახლეობაში არსებული კონკრეტული პრობლემების ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელობამდე მოტანა უზრუნველყოს. „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“ პერიოდულად მოახდენს მოსახლეობის ინფორმირებას ბეჭდვითი გამოცემით, რომელშიც განთავსებული იქნება მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, ასევე ინფორმაცია ხარაგაულის მუნიციპალიტეტში განხორციელებული და განსახორციელებლი აქტივობების შესახებ. ვფიქრობ, აღნიშნული სამსახური უფრო ეფექტურს გახდის ადგილობრივ თვითმმართველობასა და მოსახლეობას შორის კომუნიკაციას. ცენტრში ასევე იწარმოებს მოქალაქეთა მიღება, კვირაში ორჯერ. ა(ა)იპ-ში ამოქმედდება ცხელი ხაზი, რომლის მეშვეობითაც მოსახლეობას საშუალება ექნება პერმანენტულად ისარგებლოს ამ მომსახურებით და მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია მათთვის საინტერესო თემებზე. ამ სერვისების ეფექტურობა უკვე დადასტურებულია და ვიმედოვნებ, ხარაგაულშიც დიდ გამოხმაურებას ჰპოვებს და საკმაოდ წარმატებულად იმუშავებს. ცხელი ხაზის ნომერი უახლოეს მომავალში გახდება საზოგადოებისთვის ცნობილი.

საიდან მოხვდა ქეთევან ზუმბაძის ძმისშვილის სასაჩუქრე ყუთში ქართულენოვანი მისალოცი ბარათი?

პირველ ივნისს გამართულ საკრებულოს სხდომაზე, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი ქეთევან ზუმბაძე ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ხარაგაულის N1 და N2 საბავშვო ბაღებში დარიგებული საჩუქრების თემას შეეხო. მისივე თქმით, სასაჩუქრე ყუთში, რომელიც მისმა ძმისშვილმა პარასკევს საბავშვო ბაღში მიიღო, საჩუქრები დაზიანებულია და ნახმარ მდგომარეობაშია. ,,ყუთში იდო 2014 წლის 29 ოქტომბრით დათარიღებული წერილი, რომლითაც ბავშვებს ულოცავდნენ შობას. როცა საბავშვო ბაღში შედის საჩუქრები, ადგილობრივი ხელისუფლება ვალდებულია, ამას მონიტორინგი გაუწიოს“, – აღნიშნა ქეთევან ზუმბაძემ და სასაჩუქრე ყუთი საკრებულოს სხდომათა დარბაზში დატოვა. როგორც დეპუტატებმა აღნიშნეს, არასამთავრობო ორგანიზაციამ „მე დავბრუნდები“ ხარაგაულში საბავშვო ბაღის აღსაზრდელებისათვის საჩუქრები ჩამოიტანა. გადაცემის პროცესს რამდენიმე მშობელი დაესწრო, ყველამ კმაყოფილება გამოხატა, ბედნიერები იყვნენ ბავშვებიც.

საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარეს, მარინე ვეფხვაძეს, საკითხი უყურადღებოდ არ დაუტოვებია. იგი თავად ესწრებოდა ცერემონიალს და აღნიშნა, რომ არაჩვეულებრივი საჩუქრები იყო. ქეთევან ზუმბაძის განცხადების შემდეგ, აღნიშნულის შესახებ ეთერ კიკნაძის სახელობის ხარაგაულის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორს, ირმა სებისკვერაძეს გაესაუბრა.

საკრებულოს სხდომის დასრულების შემდეგ კი ქალბატონი ირმა საკრებულოში რამდენიმე მშობელთან ერთად მივიდა. გაუხსნელი საჩუქრები მიიტანა (არასამთავრობო ორგანიზაციამ დაუშვა გამონაკლისი და საჩუქრები იმ ბავშვებისთვისაც დატოვა, ვინც იმ დღეს საბავშვო ბაღში არ იმყოფებოდა) და დეპუტატების თანდასწრებით გახსნა. როგორც გაერთიანების დირექტორმა განმარტა, არც ერთ ყუთში არ იყო დაზიანებული საჩუქარი და ყველა ბავშვი და მშობლებიც აღფრთოვანებულები იყვნენ საჩუქრებით და არც ერთ მათგანს უკმაყოფილება არ გამოუთქვამს. ირმა სებისკვერაძის პოზიცია გაიზიარეს საკრებულოს სხდომათა დარბაზში შეკრებილმა მშობლებმა და აღნიშნეს, რომ მათი ბავშვები ძალიან გახარებულები და ბედნიერები იყვნენ. მათ არ შეუნიშნავთ სასაჩუქრე ყუთში დაზიანებული ნივთები, უფრო მეტიც, ყველა ყუთში ამერიკელი მეგობრების მიერ ინგლისურ ენაზე დაწერილი მისალოცი ბარათი იდო, ქეთევანის მიერ მოტანილ ყუთში კი ეს ბარათი ქართული ასოებით იყო დაწერილი.

ეთერ კიკნაძის სახელობის ხარაგაულის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების წარმომადგენლები ქეთავენ ზუმბაძესთან შეხვედრას ითხოვდნენ, თუმცა საბავშვო ბაღის წარმომადგენლების, მშობლებისა და დეპუტატების შეხვედრას ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი არ დასწრებია. მან აღნიშნა, რომ ტაკიმასხარაობაში მონაწილეობის მიღება არ სურს.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს თეა წულუკიანი ღორეშის საზოგადოებრივ ცენტრს ესტუმრა

1 ივნისს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორეშაში იმყოფებოდა. მინისტრმა ღორეშის საზოგადოებრივ ცენტრში, იმერეთის 12 - ვე მუნიციპალიტეტის სკოლის მოსწავლეებისათვის საჯარო ლექცია წაიკითხა თემაზე „ევროპა და საქართველო“. აღნიშნული შეხვედრა სამხარეო ადმინისტრაციისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ორგანიზებით ჩატარდა და მას მინისტრთან ერთად, იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის მოადგილე იოსებ ხახალეიშვილი, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი კობა ლურსმანაშვილი და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

იუსტიციის მინისტრმა მოზარდებს ინფორმაცია მიაწოდა ადამიანის უფლებების, ევროპული ღირებულებებისა და ფასეულობების, ევროპული და ქართული კანონმდებლობის შესახებ. შეხვედრაზე იუსტიციის სამინისტროს მიერ განხორციელებული რეფორმებისა და სერვისების შესახებაც ისაუბრეს. როგორც მინისტრმა აღნიშნა, ევროპულ სახელმწიფოში მოსახლეობისთვის სერვისები ხელმისაწვდომი უნდა იყოს და მოქალაქეს უნდა უადვილდებოდეს სერვისის მიღება, რის ერთ-ერთი მაგალითიც, მისივე თქმით, ღორეშის საზოგადოებრივი ცენტრია.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაიმართა. მოსწავლეებმა თეა წულუკიანს საკუთარი შეხედულებები გაუზიარეს უმცირესობების, ბავშვთა უფლებების, გამოხატვის თავისუფლების და სხვა საინტერესო თემებზე და თეა წულუკიანთან ერთად იმსჯელეს, თუ რა ნაბიჯები უნდა გადადგას საქართველომ იმისათვის, რომ ევროპული სახელმწიფო და შესაბამისად, ევროკავშირის წევრი ქვეყანა გახდეს.

როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ იუსტიციის მინისტრმა განაცხადა, სიმბოლურად 1 ივნისიდან დაიწყო ბავშვებთან შეხვედრების ციკლის აქცია.

„ბავშვთა დაცვის დღეს, პირველ ივნისს, ვიწყებ ქართველ ახალგაზრდებთან შეხვედრას, რათა სახელმწიფო და მინისტრი მათთან იყოს უფრო უშუალო, ახლო და შევძლოთ აზრთა გაცვლა-გამოცვლა იმ საჭირბოროტო საკითხებზე, რომლებიც მოზარდებს შეიძლება აწუხებდეთ – იქნება ეს ევროპული ღირებულებები, მათი მომავალი, უფრო ძლიერი და მტკიცე საქართველო, თუ მისი შენების პროცესი. პირველი შეხვედრა სიმბოლურად 1 ივნისს დავამთხვიეთ. შეხვედრა იყო ქუთაისის, ხარაგაულის, სამტრედიის, ვანის, ბაღდათის, წყალტუბოს, ტყიბულის, ჭიათურის, საჩხერის ბავშვებთან. იმერეთი საქართველოს ყველაზე დიდი რეგიონია და სწორედ ბავშვთა დაცვის დღეს, აქედან დაიწყო იუსტიციის მინისტრმა საქართველოს ბავშვებთან შეხვედრების ციკლი“, – აღნიშნა თეა წულუკიანმა.

კობა ლურსმანაშვილი (მუნიციპალიტეტის გამგებლი): ,,დღეს განსაკუთრებული დღე გახლავთ. მინდა, ჩემს ქვეყანას მივულოცო ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე და ნინოობა. მიხარია და მსიამოვნებს, რომ ღორეშაში საზოგადოებრივი ცენტრის გახსნისას ქალბატონმა თეა წულუკიანმა შემოგვთავაზა იდეა, რომ 1 ივნისს ღორეშაში შეხვდებოდა ბავშვებს და წაიკითხავდა საჯარო ლექციას თემაზე „ევროპა და საქართველო“. ბევრად უფრო სასიხარულოა კიდევ ის ფაქტი, რომ აქ იმყოფებიან იმერეთის 12 - ვე მუნიციპალიტეტის სკოლის მოსწავლეები. მინისტრი ბავშვებს იმ საკითხებზე ესაუბრა, რაც მნიშვნელოვანია, მათ ცხოვრების მანძილზე იცოდნენ. აუცილებელია ამ დროიდანვე გამოყონ პრიორიტეტები რა მიმართულებითაც საკუთარი შეხედულებები უნდა განავითარონ, რამეთუ მომავალში საკუთარი უფლებების დაცვა თვითონვე შეძლონ. ღონისძიების ყველა მონაწილეს წარმატება მინდა ვუსურვო. ჩემთვის შთამბეჭდავი იყო ხარაგაულელების აქტიურობა ამ ღონისძიებაში.“

მოსწავლეებს მინისტრის სახელით სასაჩუქრე პაკეტები გადაეცათ. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის სამსახურის ორგანიზებით, ლექციის დასრულების შემდეგ, ხარაგაულელმა ახალგაზრდებმა ალა-ფურშეტის ფონზე იმერეთის რეგიონის ბავშვებისათვის კონცერტი გამართეს. საზოგადოებრივი ცენტრის დარბაზში მოეწყო ასევე ბავშვთა ნამუშევრების გამოფენა. აქვე ნაჩვენები იქნა რეზო თაბუკაშვილის სახელობის ლიტერატურული თეატრის სპექტაკლი ,,მე წავალ მაგრამ, სამუდამოდ თქვენთან დავრჩები“, რომელიც რეზო თაბუკაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ეძღვნებოდა.

აღნიშნული ტიპის შეხვედრები იუსტიციის მინისტრმა იმერეთის რეგიონიდან დაიწყო, ქართველ ახალგაზრდებთან შეხვედრების ციკლი სხვა მხარეებშიც გაგრძელდება.

ყიცხი-ხიდრის დამაკავშირებელი გზის მოასფალტება დასასრულს უახლოვდება

კიცხი-ხიდრის დამაკავშირებელი 5 კილომეტრიანი გზის მოასფალტება დასასრულს უახლოვდება. პროექტი რეგიონალური განვითარების ფონდიდან მილიონ სამასი ათასი ლარით დაფინანსდა. სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „გეკა“ ასრულებს. 29 მაისს სოფელ ხიდარში გზაზე მიმდინარე სამუშაოები მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ, დავით დევდარიანმა და გამგეობის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსმა, არჩილ ლურსმანაშვილმა ადგილზე მოინახულეს.

გვერდი მოამზადა ეკა შავიძემ

26 მაისს მერაბ კოსტავას მემორიალთან მისივე სახელობის სკვერი გაიხსნა

26 მაისი, საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, ხარაგაულში, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის თავგანწირული მებრძოლის, ეროვნული გმირის, მერაბ კოსტავს გარდაცვალების ადგილას, სოფელ ბორითში აღინიშნა. ამ დღესთან დაკავშირებით მერაბ კოსტავას მემორიალთან ხარაგაულის ადგილობრივი თვითმმართველობის ინიციატივით, მისივე სახელობის სკვერი გაიხსნა.

საქართველოს დამოუკიდეელობისა და მერაბ კოსტავას დაბადების დღე მემორიალთან ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, კობა ლურსმანაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარემ ინგა მაღრაძემ, მარგვეთისა და უბისის ეპარქიის მეუფე მელქისედეკმა და სხვა ადგილობრივი თანამდებობის პირებმა საზეიმო ვითარებაში აღნიშნეს. სპეციალურად ამ დღისთვის ბორითში ეროვნული გმირის თანამებრძოლები და მეგობრები ჩამობრძანდნენ. მეუფე მელქისედეკმა და ხარაგაულის ანდრია პირველწოდებულის სახელობის სამლოცველოს წინამძღვარმა, მამა ანტონმა დაღუპული გმირის სულის მოსახსენიებელი პარაკლისი აღავლინეს. დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე ანსამბლ „უბისის“ მიერ შესრულდა ეროვნული სულისკვეთებით გაჯერებული სიმღერები: „ჩემო კარგო ქვეყანა“, შავლეგო“, „მრავალჟამიერი“.

სტუმრებმა ერთხელ კიდევ გაიხსენეს საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში შეტანილი მერაბ კოსტავას უდიდესი ღვაწლი. ისაუბრეს მის ცხოვრებასა და მოწამეობრივ გზაზე. ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდა გამგებელი კობა ლურსმანაშვილი და სრულიად საქართველოს ეს ღირშესანიშნავი დღე მიულოცა. „ვიდრე საქართველოს ეყოლება ისეთი გმირები, როგორიც იყო მერაბ კოსტავა, მას ძნელბედობის ჟამი არასდროს დაუდგება. მე ვიყავი ერთ-ერთი მისი თანამებრძოლი და ეროვნული მოძრაობის აქტიური წევრი. ჩვენ ყველამ ერთად შევიტანეთ წვლილი საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში. მინდა, აქედან, სრულიად საქართველოს მივულოცო დამოუკიდებლობის დღე და ყველას მივაწვდინო ჩემი ხმა - ჩვენ ისევ ვაგრძელებთ ბრძოლას თვითმყოფადობისა და ტერიტორიული ერთიანობისთვის. უფალმა გაამთლიანოს და გააძლიეროს ჩვენი ქვეყანა. დაე, იყოს ისეთი, როგორიც ჩვენს ეროვნულ გმირს, მერაბ კოსტავას სურდა ყოფილიყო - ერთიანი, ძლიერი, თავისუფალი“.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიების დასრულების შემდეგ ყველანი ბორითის სოფლის კლუბში გავეშურეთ, სადაც რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო თეატრი გველოდებოდა. ამჯერად, თეატრის რეჟისორმა და მსახიობმა, ქალბატონმა იზა ვეფხვაძემ საქართველოს ეროვნული გმირის, მერაბ კოსტავას შემოქმედებისადმი მიძღვნილი ლიტერატურული სპექტაკლი „საქართველოს შიშველი სატევარი“ წარმოგვიდგინა. ეს იყო დღევანდელი დღის ემოციების თავმოყრა, სადაც ყველანი ერთად ვეზიარეთ მერაბ კოსტავას ხილულ და უხილავ ცხოვრებას. ლიტერატურული სპექტაკლის დასრულების შემდეგ ხარაგაულელებს საქართველოს დამოუკიდებლობის დღე მოულოცეს საკრებულოს თავმჯდომარემ, ინგა მაღრაძემ, რესურსცენტრის უფროსმა, დავით კიკნაძემ, მერაბ კოსატავას მეგობარმა, გიზო თავაძემ და მოწვეულმა სტუმრებმა.

ბორითის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ვაშლევის საჯარო სკოლაში, საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად სტუმრად ჩამოვიდნენ სომხური დიასპორის წარმომადგენლები, კერძოდ ქ. ახალციხის სოფელ ჭაჭარაქის საჯარო სკოლის დირექტორი, პედაგოგები, საკრებულოს წევრები და მოსწავლეები. მათ გვირგვინით შეამკეს მერაბ კოსტავას მემორიალი და საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, ქართველ მეგობრებთან ერთად, საქართველოს ეროვნული გმირის მემორიალთან აღნიშნეს. ბავშვებმა პატრიოტულ მოტივებზე შექმნილი სიმღერები ქართულ და სომხურ ენებზე შეასრულეს.

ეკა შავიძე

საკრებულოს სხდომაზე დეპუტატებმა ჯანდაცვისა და სოციალური კომისიის მუშაობის მიმართ კმაყოფილება გამოთქვეს

1 ივნისს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გაიმართა. დეპუტატებმა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები განიხილეს. სხდომაზე საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, ვლადიმერ გელაშვილმა, საკრებულოს წევრებს გააცნო ინფორმაცია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2015 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ. საკითხთან დაკავშირებით, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ვარლამ ჭიპაშვილმა აღნიშნა: „დაგეგმილი ბიუჯეტის შესრულება ვერ მოხდა ჯარიმების ნაწილში. ეს კი მუნიციპალიტეტისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მოხდა. ვფიქრობ, რომ გამგეობისა და საკრებულოს ერთობლივი მუშაობით დაგეგმილი ბიუჯეტი შესრულდება და ყველა აღებული ვალდებულებების შესრულებაც მოხდება. აქ საგანგაშო არაფერია. წლის დასაწყისში ყოველთვის ჭირს ბიუჯეტის შესრულება“.

დეპუტატებმა პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში ცნობად მიიღეს.

საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, გივი თხელიძემ, დეპუტატებს კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში წარუდგინა. აღნიშნული კომისიის მუშაობა დადებითად შეაფასა ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ, ვარლამ (ტატო) თავზარაშვილმა და მის ეფექტიანობაზე ისაუბრა: „საქართველოს მთავრობა ჯანდაცვისა და სოციალური სფეროს მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს, რაც ძალზე მნიშვნელოვანია. უდავოა, რომ ამ სისტემაში წინსვლა ხარაგაულშიც შეინიშნება. არ მეგულება ადამიანი, რომელსაც ამ კუთხით დახმარება ესაჭიროებოდა და უყურადღებოდ დაგვეტოვებინა. ვისურვებ, ჩვენი ქვეყნის და მოსახლეობის ეკონომიკური პირობები ისე გაუმჯობესდეს, რომ ადამიანები სოციალური კუთხით დახმარებას ნაკლებად საჭიროებდნენ. როცა ჩვენი ოპონენტები აპელირებენ თემით, თურმე ამბულატორია ტრაფარეტულად გავხსენით, მათ შეუძლიათ, ახლავე ავიდნენ იქ და ნახონ, თუ როგორი დატვირთვით მუშაობს“.

ჯანდაცვისა და სოციალური კომისიის მიმართ კმაყოფილება გამოთქვა ხუნევის მაჟორიტარმა დეპუტატმა, ლენა აბაშიძემ. ასევე საღანძილის მაჟორიტარმა დეპუტატმა, დავით კიკნაძემ. როგორც ბატონმა დავითმა განმარტა, ხუთი თვის განმავლობაში, საღანძილის ადმინისტრაციულ ერთეულში 171 ადამიანმა ისარგებლა გამგეობის სოციალური პაკეტით.

საკრებულოს წევრებმა ჯანდაცვისა და სოციალურ კომისიის ანგარიში დადებითად შეაფასეს.

გარდა ამისა, საკრებულოს ხდომაზე დეპუტატებმა გამგეობის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ანგარიში მოისმინეს. ვინაიდან სამსახურის უფროსი, მალხაზ ფხალაძე, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების მიზნით ადგილზე არ იმყოფებოდა, საკითხი მათ ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების წამყვანმა სპეციალისტმა დავით პავლაძემ გააცნო. ამან კი ზოგიერთი დეპუტატის უკმაყოფილება გამოიწვია.

დეპუტატმა გოგი ლაცაბიძემ განმარტა, რომ აუცილებელი იყო სხდომას დასწრებოდა სამსახურის უფროსი, რადგან ამ მიმართულებით მთელი რიგი შეკითხვები ჰქონდა. „ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ანგარიშს დადებითად ვერ შევაფასებ, რადგან სოფლებში ბევრი შეჩერებული პროექტია. არ არის დაცული თანაბრობის პრინციპი რიგი პროგრამების განხორციელებაში. წიფის ზონა ხომ, საერთოდ, მიტოვებულია და იქ არაფერი კეთდება. მოსახლეობას გზის პრობლემა მუდმივად აქვს“.

სოფელში გზის პრობლემა ვახანის მაჟორიტარმა დეპუტატმა, მერაბ არევაძემაც დაასახელა. დეპუტატი უშანგი ბერაძე, კი კიცხში საზოგადოებრივი ცენტრის მშენებლობითაა უკმაყოფილო, მისი აზრით, უმჯობესი იქნებოდა ამ თანხით სხვა, უფრო მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელებულიყო.

გოგი ლაცაბიძის პოზიცია არ გაიზიარა ბაზალეთის მაჟორიტარმა დეპუტატმა, ვარლამ ჭიპაშვილმა და აღნიშნა, რომ ყველგან ყველაფერი ერთად ვერ გაკეთდება. „წიფის ზონა სულაც არ არის მიტოვებული და იქ ბევრი ინფრასტრუქტურული პროექტი ხორციელდება. მოსახლეობამ ,,სოფლის მხარდამჭერი პროგრამის“ ფარგლებში“ გამოყოფილი თანხით სარიტუალო დარბაზის გაკეთება აირჩია. თუ შიდა საუბნო გზების პრობლემა უფრო მნიშვნელოვანი იყო, პრიორიტეტი მისთვის მიენიჭებინათ. ამ თანხებს თავად მოსახლეობა განკარგავს“.

მოკლედ, საკრებულოს წევრებს შორის ამ საკითხის განხილვამ ხმაური გამოიწვია, რაზეც ფრაქცია ,,ქართულ ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ, ვარლამ (ტატო) თავზარაშვილმა, განაცხადა: ,,თუ საკრებულოს თავმჯდომარე ვერ უზრუნველყოფს სხდომების რეგლამენტის დაცვით წარმართვას, ფრაქციის სახელით ვაცხადებ, რომ მორიგ სხდომებს აღარ დავესწრებით.“

აქედან გამომდინარე, ინგა მაღრაძემ დეპუტატებს ანგარიშის შემდეგ სხდომაზე განხილვა შესთავაზა და განმარტა: „ ვფიქრობ, თუ ანგარიშის მოსმენას გადავდებთ, ამით გამგეობის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურს მივცემთ საშუალებას, უფრო მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ საკითხს.“

საბოლოოდ, საკრებულოს წევრების გადაწყვეტილებით ანგარიშის მოსმენა არ გადაიდო და ხმათა უმრავლესობით იგი დადებითად შეფასდა.

ამის შემდეგ საკრებულოს თავმჯდომარემ დეპუტატებს საქართველოს ქალაქებში მწვანე ნარგავების მოვლის ერთიანი წესების შემოღების თაობაზე, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ გადმოგზავნილი რეკომენდაცია გააცნო. დეპუტატებმა გარემოს დაცვის სამინისტროდან გამოგზავნილ წერილი ერთხმად მოიწონეს.

სხდომაზე ასევე ა(ა) იპ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“ სუბსიდირებისათვის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემისა და შპს ,,ხარაგაული-2011“-ის სუბსიდირებისათვის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ იმსჯელეს. წარმოდგენილ საკითხებზე ხმები გაიყო, თუმცა საბოლოოდ ხმათა უმრავლესობით საკითხი მიღებულ იქნა.

ეკა შავიძე

ხარაგაულის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების ბავშვებს საჩუქრები გადაეცათ

29 მაისს არასამთავრობო ორგანიზაციამ „მე დავბრუნდები“, ჭიათურის სოციალურ სამსახურთან ერთად, ხარაგაულის N1 და N2 სკოლამდელ დაწესებულებათა აღსაზრდელები დაასაჩუქრა. 215 ბავშვს საჩუქრები ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა კობა ლურსმანაშვილმა და ჭიათურის სოციალური სამსახურის უფროსმა ინა ასანიძემ პირადად გადასცეს. „მე დავბრუნდების“ თავმჯდომარის, ქალბატონ ინა ასანიძის ინფორმაციით, ამერიკელი მეგობრებისაგან გამოგზავნილი საჩუქრები ქართველ ბავშვებს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გადასცეს და ამით მათ სიურპრიზი მოუწყვეს.ხარაგაულელი ბაშვები ამ აქციაში მუნიციპალიტეტის გამგებლის თხოვნით მოხვდნენ. ბავშვები საჩუქრებს, ახლა უკვე გერმანიიდან, საშობაოდაც მიიღებენ. აქციას პერმანენტული ხასიათი ექნება.

28 მაისს ხარაგაულის სამუსიკო სკოლის უმშვენიერეს დარბაზში სიყვარულის დიდი კოცონი ააგიზგიზეს ხარაგაულის მესამე საჯარო სკოლის მეშვიდეკლასელებმა (სკოლის დირექტორი, მარინე ხვედელიძე, კლასის დამრიგებელი მაია გაგოშიძე). ამ კოცონიდან წამოსულმა სითბომ, რომელიც უფაქიზეს გრძნობას ბებია-ბაბუა-შვილიშვილის სიყვარულის გაოსაოცარ ძალას ეხებოდა, ნამდვილად დიდი ემოცია გამოიწვია მაყურებელში.

ნოდარ დუმბაძე რომ ჭეშმარიტად დიდი შემოქმედია, მისი თხზულებები რომ სიკეთე-სიყვარულის მარადიული შუქურაა, ამაში ეჭვი არავის გვეპარება, მაგრამ ეს შუქურა რომ მოზარდის სულებისაკენ მიმართო, მისი წყალობით მაქსიმალურად გამოავლინო ანცი გოგო-ბიჭების უნარ-შესაძლებლობანი, ეს პედაგოგის დიდი ხელოვნებაა. სწორედ ამ ამპლუაში წარმოაჩინა თავი მესამე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის ღვაწლმოსილმა პედაგოგმა, მერი გიორგიძემ იმ დიდი სიყვარულის ძალით, რომლითაც ის მუდამ მოძღვრავდა და მოძღვრავს თავის მოსწავლეებს. ეს ლამაზი ლიტერატურულ-მუსიკალური დილა მეშვიდეკლასელებმა თავიანთ უფროს მეგობარს, ე.წ. „საზოგადოებრივ დამრიგებელს“ საპატიო ხარაგაულელს და ხარაგაულელთათვის უსაყვარლეს პიროვნებას ბატონ იუზა (ვალოდა) კელენჯერიძესთან მეგობრობას მიუძღვნეს და შესატყვისი ლამაზი ჩანაფიქრით მიულოცეს საუბილეო თარიღი - ღირსეული ცხოვრების 75 წლისთავი.

ნოდარ დუმბაძის „სისხლი“ (სცენარის ავტორი მერი გიორგიძე) გასაოცარი გარდასახვით აამეტყველეს პატარა „მსახიობებმა“. ვინც ამ ულამაზესი წუთების მონაწილე იყო, ყველა დამეთანხმება, რომ მათ იხილეს ნამდვილი იმერელი ბებია, იულია მიქელაძე (მონიკა ბუცხრიკიძე), გურული ბაბუა ქიშვარდი ლომჯარია (საბა თაბუკაშვილი), შვილიშვილი ნოდარ (ნადირ)ლომჯარია (ბექა მეხუზლა) და სცენარში ჩართული ყველა მოსწავლე (ნათია ბურჯანაძე, ნათია თაბუკაშვილი, ნინო შარიქაძე, მარიამ არევაძე, ამანდა ავალიშვილი, ელენე ბუაჩიძე, კლარა ლურსმანაშვილი, მანანა ხახალაშვილი) რომლებიც დეკლამაციით, შეუცდომლად გადმოსცემდნენ სცენარის ყველა მონაკვეთს. სცენას ამშვენებდა დეკორაციები, რომლის ფონზეც უფრო სრულყოფილად წარმოჩინდა „მსახიობთა“ ოსტატობა.

შვილიშვილის, „პატარა ბოკვერის“ სიყვარულით გულანთებული პაპის განცდები შესატყვისი ჟესტიკულაციით აამეტყველა ნათია თაბუკაშვილმა ლექსით „ჩემს ეზოში“ ხოლო ამ ტექსტზე სამუსიკო სკოლის პედაგოგ დალი მერაბიშვილის მელოდიით დაგვატკბეს საბა ებანოიძემ და მარიამ მანჯავიძემ.

მერი გიორგიძემ ღონისძიების დასაწყისში აღნიშნა, რომ - საზოგადოებასთან, მის სამაგალითო წევრებთან მოსწავლეთა ურთიერთობას მუდამ სასიკეთო შედეგები მოაქვს. „ასეთი სტატუსით ჩემს სადამრიგებლო კლასის მოსწავლეებთან ურთიერთობდნენ: ღირსეული პიროვნება, ბატონი ვალერი გოგნაძე, ხარაგაულელეთა უსაყვარლესი ქალბატონი პოეტი ლინა ბარათაშვილი. წლების წინ კი, კლასის ხელმძღვანელ მაია გაგოშიძესთან ერთად, არჩევანი ბატონ იუზა (ვალოდა) კელენჯერიძეზე შევაჩერეთ. ბატონი ვალოდა სულ მუდამ საქმის კურსშია, როგორ იქცევიან მისი პატარა მეგობრები, როგორ სწავლობენ...

ვალერი გოგნაძე - ხარაგაულის N2 საჯარო სკოლის დირექტორი: „პირველ რიგში მინდა თქვენ მოგმართოთ, ქალბატონო მერი, მიხარია, რომ ცხოვრობთ და იღწვით ჩვენ გვერდით. შესაშურია თქვენი ენერგია, ისევე როგორც თქვენი კალამი. დაე, მრავალი წელი იარეთ და იშრომეთ ასეთი შემართებით, ასეთი სიყვარულით სავსე გულით.

ბატონ ვალოდას ვულოცავ სახელოვან საიუბილეო თარიღს -75 წლისთავს. ის თავისი პიროვნული ღირსებებით ამშვენებს ხარაგაულს. გულში ვიხუტებ ანა რუხაძის წიგნს „ჩემი ფესვები“, რომელიც სიყრმის შვილიშვილმა უძღვნა ბაბუა-ბებიის დიდ სუყვარულს, მათ ლამაზ ყოფას. მე ვთვლი, რომ ეს წიგნი მარტო ვალოდა კელენჯერიძის ცხოვრების კი არა, მთელი ხარაგაულის სისხლსავსე ცხოვრების აღწერაა.

„ნეტავ რა ჰქვია ამ ძალას?“

ლალი სებისკვერაძე - პირველ რიგში მადლობა მერი მასწავლებელს, ღმერთმა დიდხანს მოგცეთ უშრეტი ენერგია. დღეს ასე ალამაზებთ ხარაგაულს, თქვენი ერუდიციით, თქვენი მჭვერმეტყველებით ბევრი ახალგაზრდა იკვლევს გზას ცხოვრების დიდი ასპარეზისაკენ.

ბატონო ვალოდა! თქვენ მოსიყვარულე და უკეთილშობილესი ადამიანი ბრძანდებით. დღევანდელი შეხვედრა ნათლად მოწმობს, თუ რაოდენია თქვენი ძალისხმევა მოსწავლე-ახალგაზრდობის ჭეშმარიტ მოქალქეებად ჩამოყალიბების საქმეში. მადლობა თქვენ!

ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორმა, ნიკოლოზ მაჭავარიანმა, აღნიშნა, რომ ასე თემატურად ძალზე მიგნებული ღონისძიება აფაქიზებს აღსაზრდელის სულს, უძლიერებს სიყვარულს, პასუხისმგებლობის გრძნობას, აახლოებს წიგნთან. შემთხვევითი არაა, რომ მერი მასწავლებელმა თავის მოსწავლეები ისეთ პიროვნებასთან დაამეგობრა, როგორიც ბატონი ვალოდა კელენჯერიძეა. მივესალმები ამ ფაქტს და ვისურვებ, რომ ქალბატონი მერი კვლავ მარავალი ღონისძიების თაოსნად ვიხილოთ.

ეკა შველიძე - როცა ასეთ ღონისძიებაზე ხარ, ფიქრობ, რა მიიღე, რა შეგეხო და მერე რა წაიღე მისგან. აქ გამომსვლელი ბავშვები უკლებლივ ნიჭიერები იყვნენ. დარწმუნებული ვარ მათ დაამახსოვრდებათ და მომავალშიც ეცოდინებათ, რომ თავიანთ წინაპარს პატივი უნდა სცენ. მადლობა თქვენ, ქალბატონო მერი, მრავალი თაობის აღმზრდელო პედაგოგო, თქვენ ძალიან ბევრ ახალგაზრდას გაუკვალეთ გზა.

ბატონო ვალოდა, თქვენ ხრთ ყველას სიხარულის, ტკივილის, სიყვარულის გამზიარებელი, მოჭირნახულე. დღეგრძელობას გისურვებთ თქვენს ოჯახთან ერთად.

მესამე საჯაროს სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ქალბატონმა ნანა კვინიკაძემ, საიუბილეო თარიღი მიულოცა საპატიო ხარაგაულელს ვალოდა კელნჯერიძეს. მაღალი შეფასება მისცა ამ ლამაზ ღონისძიებას, მის თითოეულ მონაწილეს. ხაზი გასუვა მეგობრობისა და სიყვარულის უძლეველ ძალას. მახარებს, რომ მერი მასწავლებელი ჩვენ გვერდითაა, ჩვეული ერგიითა და პროფესიონალიზმით ემსახურება საყვარელ საქმეს. ჩვენი ვალია, მოვეფეროთ ასეთ ადამიანებს და შესაძლებლობა მივცეთ, რომ კვლავ მრავალი კეთილი ჩანაფიქრი განახორციელონ მომავალი თაობის საკეთილდღეოდ.

გარკვეული სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა იმ ფაქტს, რომ ღონისძიების მეორე ნაწილში მესამე საჯარო სკოლის მოსწავლეების, მრავალ კონკურსში გამარჯვებულ, გრან-პრის მფლობელ სალომე კვირიკაშვილთან და „მომავლის ვარსკვლავების“ დიპლომანტ ანა მაჭავარიანთან ერთად მონაწილეობდნენ სამუსიკო სკოლიდან მე-2 საჯარო სკოლის და გიმნაზიის მოსწავლეები.

და კითხვა - „ნეტავ რა ჰქვია ამ ძალას?“ პასუხი აუცილებლად ასეთია: ამ ძალას გენის, ჯიშის, წინაპართა სისხლის სიყვარული ჰქვია, სიყვარული, რომელსაც ასეთი რუდუნებით, ასეთი უშრეტი ენერგიით, ასეთი მიზანმიმართული სვლებით აზიარებთ ქვეყნის მომავალს და იმედს, ჩვენს მოსწავლე-ახალგაზრდობას, ძვირფასო მერი მასწავლებელო!

თეა ბერიძე
მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში

№2 საბავშვო ბაღში გამოსაშვები ღონისძიება გაიმართა

ღონისძიებამ, რომელიც 28 მაისს ხარაგაულის N2 საბავშვო ბაღში მოეწყო, ემოციების და აპლოდისმენტების ფონზე ჩაიარა და დამსწრე საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა. N2 საბავშვო ბაღმა კიდევ ერთი თაობა გააცილა. „სკოლისაკენ ჰერი, ჰერი“ ამ განწყობით რვა აღსაზრდელი დაეშვიდობა საბავშვო ბაღსა და მასწავლებლებს. გაზაფხულის ფერებად მორთულ დარბაზში ნამდვილი ბავშვური სამყარო გააცოცხლეს პატარებმა. თითოეული მუსიკალური და ქორეოგრაფიული ნომერი გულისყურით იყო შერჩეული და მომზადებული. პედაგოგები: ნანა მაღრაძე, მაკა თაბუკაშვილი და პედაგოგის თანაშემწე ნაილი კალანდაძე, ბოლომდე დაიხარჯნენ, რომ სკოლამდელი ჯგუფის გამოსაშვები საღამო დასამახსოვრებელი ყოფილიყო. ღონისძიებას ესწრებოდნენ გამგებლის მოადგილეები: პაატა გოგოლაძე, თემურ ჩხეიძე, საკრებულოს განათლების, კულტურის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე მარინე ვეფხვაძე, ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, შალვა ლურსმანაშვილი და ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების თანამაშრომლები, რომლებმაც ბავშვებს ბაღის დამთავრება მიულოცეს და წარმატებები უსურვეს.

ირმა სებისკვერაძე (ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი): ,,მოგესალმებით, გეფერებით და ბაღის დასრულებას გილოცავთ.

დღევანდელი დღე არის როგორც სევდიანი, ასევე კარგი განწყობის. სევდიანი იმიტომ, რომ დღეს ჩვენი პატარები ამთავრებენ საბავშვო ბაღს და თავის ცხოვრების ერთი ეტაპიდან ახალი ეტაპისთვის ემზადებიან. დავულოცავ მათ ამ გზას. მადლობას გადავუხდი ჩვენს აღმზრდელებს, ჩვენს თანამშრომლებს, რომლებმაც ბევრი შეძლეს სკოლამდელი აღზრდის განვითარებისათვის.“

ქეთევან ლომსაძე (N2 საბავშვო ბაღის გამგე): ,,გილოცავთ ბაღის დასრულებას. გაზაფხულის ფერებივით ლამაზები ხართ. ეს არის ადგილი, სადაც იმ ადამიანურ გრძნობას ეზიარეთ, რასაც სიყვარული ჰქვია. ასეთი ბედნიერი დღეები მრავალი ყოფილიყოს თქვენს ცხოვრებაში. უფალი იყოს თქვენი მფარველი. იწყებთ ცხოვრების ახალ ეტაპს, რომელიც მეტად რთულია, მაგრამ გისურვებთ, თქვენ სირთულე არ გენახოთ. სულ წარმატებით გევლოთ ამ გზაზე. დიდ მადლობას ვუხდი თქვენს აღმზრდელ – პედაგოგებს, თქვენში ჩადებული შრომისათვის. მადლობა გაერთიანებისა და რაიონის ხელმძღვანელობას, იმ გულისხმიერებისა და ყურადღებისათვის, რასაც ისინი სკოლამდელი დაწესებულებისათვის აკეთებენ. დაგლოცავთ, შვილებო, მრავალჟამიერ!“

ნანა მაღრაძე (N2 საბავშვო ბაღის პედაგოგი): ,,ჩემო პატარებო, გილოცავთ ამ ლამაზ დღეს. სკოლისკენ მიმავალ გზას დაგილოცავთ. ეს გზა სულ ია–ვარდით მოფენილი ყოფილიყოს. ცხოვრებაში არასოდეს შეგხვედროდეთ სიმწარე და სირთულე. საზოგადოებასთან ურთიერთობის პირველი ეტაპი გაიარეთ და ახალი ნაბიჯების გადასადგმელად ემზადებით. იმდენად ნიჭიერები ხართ, დარწმუნებული ვარ, ყოველგვარ სირთულეს დაძლევთ. თქვენ ხართ ჩვენი ქვეყნის ხვალინდელი დღე.“

მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ, პაატა გოგოლაძემ, მადლობა გადაუხადა პედაგოგებს იმ შრომისათვის, რაც მათ თითოეული ბავშვის აღზრდაში აქვთ ჩადებული და პატარებს სკოლისაკენ მიმავალი გზა დაულოცა.

ღონისძიებაზე შალვა ლურსმანაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლამდელი დაწესებულება განსაკუთრებულ ყურადღებასა და მხარში დგომას საჭიროებს, ამისათვის კი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ძალ-ღონეს არ იშურებს.

მარინე ვეფხვაძემ წარმატება და წინსვლა უსურვა ყველა აღსაზრდელს, ხოლო პედაგოგებს - საბავშვო ბაღში ბავშვთა სიმრავლე.

საკრებულოს დეპუტატებმა საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს სათამაშოები გადასცეს, ხოლო სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორმა მუსიკალური ცენტრი, დივიდი და სათამაშოები უსახსოვრა.

თამარ მაღრაძე

ხარაგაულის კინოთეატრში სამოყვარულო ფილმების კონკურსის „ჩემი იმერეთის“ ჩვენება-დაჯილდოება გაიმართა

27 მაისს ხარაგაულის კინოთეატრში სამოყვარულო ფილმების კონკურსის „ჩემი იმერეთის“ ჩვენება-დაჯილდოება გაიმართა. კონკურსის ინიციატორმა და წამყვანმა მამუკა ჭიპაშვილმა აღნიშნა, რომ კონკურსი მეორე წელია ტარდება და მასში, წელს პირველად, ხარაგაულის გარდა იმერეთის რეგიონის სხვა მუნიციპალიტეტებიც ღებულობენ მონაწილეობას. კონკურსში თავდაპირველად რამდენიმე ფილმი იყო წარმოდგენილი, თუმცა ჟიურიმ ფინალურ ეტაპისათვის ათი საუკეთესო ფილმი გამოავლინა.

წარმოდგენილი იყო იმერეთის თემატიკაზე გადაღებული 5 წუთიანი ფილმები. კონკურსს აფასებდა ჟიური შემდეგი შემადგენლობით: გამგებლის მოადგილე პაატა გოგოლაძე, კულტურის სამსახურის უფროსი ირინე ჩხეიძე, ა(ა)იპ ,,კულტურის ცენტრის“ უფროსი ვასილ კიკნაძე, ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი დავით კიკნაძე, საკრებულოს წევრი იუზა კელენჯერიძე.

მუნიციპალიტეტის გამგებელი კობა ლურსმანაშვილი კონკურსში მონაწილეებს მიესალმა და წარმატებები უსურვა: „დღეს მნიშვნელოვანი და შინაარსობრივად დატვირთული დღეა. მინდა, მადლობა მოგახსენოთ ფესტივლის ორგანიზატორებს და მის მონაწილეებს, განსაკუთრებით მათ, ვინც სტუმრად იმყოფებიან დღეს ჩვენს რაიონში. მინდა, სურვილი გამოვთქვამ, რომ კონკურსმა მომავალში კიდევ უფრო მეტ მასშტაბები შეიძინოს “.

კონკურსის პირველი ფილმი „აქ მღერის გული“ წარმოადგინეს ბაზალეთის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა. (ფილმის ავტორი ლელა ბარბაქაძე)

დოკუმენტური ფილმი „ჩემი წყალტუბო“ (ოთარ მიქაბერიძის ფილმი);

„ჩემი იმერეთი“ ბორის სკოლა-პანსიონი (პედაგოგ ქეთევან ღონღაძის ფილმი, რომელშიც მონაწილეობდნენ ბორის სკოლა-პანსიონის მოსწავლეები);

ფილმი „იმერეთი„ (ფილმის ავტორი ვანო ჭიპაშვილი, ტექტს კითხულობდა ნიკოლოზ ჭიპაშვილი);

„ძევრი-იმერეთის პატარა სამოთხე“ (მონაწილეობდნენ თერჯოლის მუნიციპალიტეტის N2 საჯარო სკოლის მოსწავლეები);

„ეს ჩვენი კუთხე“- (მონაწილეობდნენ ლაშის საჯარო სკოლის მოსწავლეები);

„სტარში სერჟანტ ბლუაშვილი“- ანა ბლუაშვილის ფილმი;

„ოცნება ხდება“- (ფილმი გადაღებულია ხონის N2 საჯარო სკოლის მოსწავლეების მონაწილეობით);

„ციხის ყელი“-(N2 საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლეების ბერიკა ებანოიძისა და გოგა აბაშიძის ფილმი);

„გაცოცხლებული ფოტო“ - თამარ ავალიშვილის ფილმი;

„ის, რასაც ვერ მოშლი“ - მამუკა ჭიპაშვილის ფილმი.

ჟიურიმ კონკურსში მონაწილე ფილმების ჩვენების შემდეგ დაასახელა ნომინაციაში გამარჯვებული კონკურსანტები:

მომავლის მსახიობი-ნიკოლოზ ჭიპაშვილი, ალექსანდრე უგულავა;

საუკეთესო როლის შემსრულებელები-ლუიზა კიკნაძე და ნიკოლოზ მაჭავარიანი;

კონკურსში ,, ჩემი იმერეთი“ მონაწილეობისათვის, ნომინაციაში „რაიონის მეგობარი“ დაჯილდოვდა ბორის სკოლა - პანსიონის მშვიდობის კორპუსის მოხალისე, ინგლისური ენის პედაგოგი, ამერიკელი ელიზაბედ ბითტჩელი;

საუკეთესო ოპერატორი-ლაშა ნიქაბაძე;

საუკეთესო სიუჟეტი-თამარ ავალიშვილი;

კონკურსის საუკეთესო ფილმად დასახელდა ფილმი „ის, რასაც ვერ მოშლი“.

კონკურსის ორგანიზატორები გახლდნენ: ა(ა)იპ ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და შიდა ტურიზმის ხელშეწყობის ცენტრი", გამგეობის კულტურის სამსახური და ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურცენტრი.

თამარ მაღრაძე

ბორის სკოლა-პანსიონს არასამთავრობო ორგანიზაცია „ფონდი თბილისის მოზარდთა სახლი” სტუმრობდა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ბორის სკოლა-პანსიონი უკვე 16 წელია ამერიკელ მეგობრებთან პარტნიორობს. ისინი ყოველი წლის გაზაფხულზე ჩამოდიან საქართველოში და არასამთავრობო ორგანიზაციის „ფონდი თბილისის მოზარდთა სახლის“ ეგიდით ბორის სკოლა-პანსიონში სხვადასხვა სახის ქველმოქმედებას ეწევიან. ყოველ მომდევნო ჩამოსვლაზე კი, გასული წლის აქტივობების მონიტორინგს ახორციელებენ. 29 მაისს, ბორის სკოლა-პანსიონში სკოლის მოსწავლეებმა თავიანთ ამერიკელ მეგობრებს გაცილების ზეიმი მოუწყვეს. მოხალისეთა მისიის წარმომადგენლები ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, კობა ლურსმანაშვილმა, მოადგილეებმა პაატა გოგოლაძემ და თემურ ჩხეიძემ, საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა, დავით კიკნაძემ და მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატებმა მოინახულეს. გამგებელმა მადლობის სიგელი გადასცა ამერიკის მისიის მოხალისეთა გუნდის თავმჯდომარეს, ქალბატონ ლინ ბერნს და არასამთავრობო ორგანიზაციის „ფონდი თბილისის მოზარდთა სახლის“ თავმჯდომარეს, ქალბატონ თამარ გრიგოლიას ბორის სკოლა-პანსიონში გაწეული ქველმოქმედებისათვის. ამერიკის მოხალისეთა მისიის ბორის სკოლა-პანსიონში ვიზიტის დროს შემდეგი ღონისძიებები გაიმართა. კერძოდ, სკოლაში ამერიკელი მეგობრები, სხვადასხვა კლასებში და სკოლამდელი აღზრდის ჯგუფში მართავდნენ გაკვეთილებს. ახლადგარემონტებულ ბიბლიოთეკაში გაიმართა ფილმის ჩვენება და შემდეგ მასზე მსჯელობა. სკოლის სამოქალაქო კლუბმა "სმარტკლუბი"დამსწრე საზოგადოებას ინგლისურ და ქართულ ენაზე წარმოუდგინა ანგარიში გასული სასწავლო წლის საქმიანობის შესახებ. გაიმართა „ნიჭიერის“ ღონისძიება რომელშიც მოსწავლეები ენაცვლებოდნენ ერთმანეთს სიმღერებში და ცეკვაში. გამარჯვებულებს გადაეცათ დიპლომები და ფასიანი საჩუქრები. ვიზიტის ფარგლებში პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობდა მოსწავლეების გამოკვლევა ამერიკელი ექიმების მიერ. გაიმართა სპორტული ღონისძიებები ჯგუფებს შორის. მერვე-მეცხრე კლასებმა საძინებელში კედელზე გააკრეს სტიკერები, ხოლო მე-10, მე-11 და მე-12 კლასელებმა კი, - ამერიკელი მეგობრების მიერ მოტანილი მაისურები მოხატეს. ბორის საჯარო სკოლაში ამერიკელი მეგობრების ინიციატივით ჩამოყალიბდა მორბენალთა კლუბი, სულ 20 ბავშვი, რომელთაც გადაეცათ მაისურები სკოლის წარწერით. ვიზიტის დასასრულს ამერიკელმა მეგობრებმა მე-12 კლასელებს საჩუქრები გადასცეს და ექსკურსიის დაფინანსებას დაჰპირდნენ. მათ აღნიშნეს, რომ მომავალშიც აუცილებლად გაგრძელდება ყველა ის პროექტი, რომელიც ასე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ბორის სკოლისათვის.

ეკა შავიძე

ᲮᲐᲠᲐᲒᲐᲣᲚᲘᲡ ᲙᲘᲜᲝᲗᲔᲐᲢᲠᲨᲘ ᲡᲞᲔᲥᲢᲐᲙᲚ ,,ᲓᲐᲠᲘᲡᲞᲐᲜᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲭᲘᲠᲘᲡ“ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲐ ᲨᲔᲓᲒᲐ

29 მაისს 25 წლის შემდეგ ხარაგაულის საზოგადოებამ სპექტაკლი ,,დარისპანის გასაჭირი" ახალი შემადგენლობით და ახლებური დადგმით იხილა. სპექტაკლი ხარაგაულის ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრმა (რეჟისორი ირინე ჩხეიძე) წარმოადგინა. დავით კლდიაშვილის ამ კომედიამ, თავის დროზე, განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა. იგი დღემდე წარმატებით იდგმება ქართული თეატრის სცენაზე. სპექტაკლმა უწყვეტი აპლოდისმენტებით და ანშლაგით ჩაიარა. ხარაგაულის სახალხო თეატრმა ნამდვილად მოახერხა, ჩვენ თვალწინ, გაეცოცხლებინა ყველასათვის ნაცნობი სიუჟეტი. კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ რეჟისორი თუ პროფესიონალია, კარგ დრამატურგიას არათუ უკვდავყოფს, ახლებურადაც წარმოაჩენს. ასევე ბევრი შეიძლება ითქვას მსახიობებზე, რომელთაც პერსონაჟთა ხასიათები ოსტატურად ჰქონდათ დამუშავებული, გათავისებული და წარმოჩენილი.

ᲑᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲨᲔᲛᲝᲛᲐᲒᲝᲛᲘᲡ ᲛᲝᲚᲝᲚᲘᲜᲘ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობამ მიმდინარე წელი სოფლის მეურნეობის აღორძინების დაწყების წლად გამოაცხადა და რუდუნებით შეუდგა პროგრამის განხორციელებას.

ჩამოყალიბდა პროგრამის სამი ძირითადი მიმართულება.

1. პროექტი-მეცნიერების რგოლის ამოწევა სოფლის მეურნეობაში უხვი და ხარისხიანი მოსავლის მიღების მიზნით.

2. აგროტექნიკური წესების მაქსიმალური დაცვით ნიადაგების ლაბორატორიულ-ანალიტიკური შესწავალა და მისი დროული დახვნა, დაფარცხვა და დათესვა.

3. სისტემური კონტროლი ნიადაგებისა და ნარგავების აგროტექნიკურ ვადებში შესაბამისი ძირითადი ორგანული სასუქებისა და ენერგოაქტივატორების გამოყენებით დამუშავება-მოვლა-პატრონობაზე.

პროგრამის განხორციელებაში აქტიურად ჩაერთო გამორჩეულ მეცნიერთა ჯგუფი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტებიდან.

2015 წლის აპრილ-მაისის გახშირებულმა წვიმებმა არ მოგვცა საშუალება, ხვნა-თესვის სამუშაოები დროულად დაგვეწყო და საჭირო გახდა უდიდესი ძალისხმევა, რათა ძალზე შემჭიდროებულ ვადებში მოსწრებულიყო. მობილიზებულ იქნა ტრაქტორთა საჭირო რადენობა. დარგის სპეციალისტები და მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში დროსა და ენერგიას არ იშურებდნენ, პირადი ყოველწუთიერი კონტროლის ქვეშ ემუშავათ. შედეგად მივიღეთ ის, რომ მიმდინარე წლის 1 ივნისის მდგომარეობით მუნიციპალიტეტში დახნული და დათესილია 3670 ჰექტარი სასიმინდე ნაკვეთი.

მადლიერების გრძნობით საქებარ სიტყვებს არ ვიშურებთ მექანიზატორების: გოჩა კვანტრიშვილის, გოჩა მჭედლიძის , სულხანი შაორშაძის და სხვათა მიმართ. ისინი ოცდაოთხი საათი შეუსვენებლად მუშაობდნენ ნაკვეთებში.

ვფიქრობ, კარგი საფუძველი შევქმენით, რომ შემოდგომა ხვავრიელი და ბარაქიანი დაუდგეს თითოეულ ხარაგაულელს. დაიწყოს სოფლის აღორძინება და მეტი თანამემამულე დაუბრუნდეს სოფელს.

მურმან არჯევანიძე
გამგებლის მრჩეველი მეურნეობის საკითხებში

გამომცემელი ა(ა)იპ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი"
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: 22 10 25; ტირაჟი 1000 ცალი
დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ.: 595 51 98 12